უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№9 (76) 2017

ახალი სასწავლო წელი თსუ-ში

18 სექტემბერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღე იყო პირველკურსელი თსუ-ელებისთვის, რომელთაც უნივერსიტეტი საგანგებო ღონისძიებებით შეეგება.

4000-მდე აბიტურიენტი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი გახდა, 2000-მდე ახალგაზრდა კი თსუ-ის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩაირიცხა. მათ შორის საქართველოს ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტი მარიამ როგავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელი გახდა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, საკონკურსო ქულებით პირველ ხუთეულში 3 მაღალრეიტინგული სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის და მათემატიკის მიმართულებების სტუდენტები არიან. სან დიეგოს უნივერსიტეტის ყველაზე მაღალრეიტინგულმა აბიტურიენტებმაც არჩევანი სწორედ თსუ-ის პროგრამებზე გააკეთეს. ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები აქაც STEM მიმართულებებზე ლიდერობენ. უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ მათემატიკასა და ქიმიაში მსოფლიო ოლიმპიადის ფინალისტები, მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადის მე-5 ადგილის მფლობელს ალექსანდრე საათაშვილს კი რექტორის სტიპენდია მიენიჭა.

წელს პირველი ნაკადი მიიღო თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ, სადაც ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე 53 პირველკურსელია. სწავლის დაწყება სტუდენტებს თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რექტორის მოადგილემ მიხეილ ჩხენკელმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ მიულოცეს.

ღონისძიებაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგად სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. კომპანია „ჯეოსელმა“ მარიამ როგავა, როგორც საქართველოს ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელი, სპეციალური საჩუქრით, iphone 7-ით დაჯილდოვა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 67 საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე 4015 ვაკანტური ადგილი გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უმრავლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ყველაზე მაღალი აქვს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი არჩევანის მიხედვით ყველაზე მოთხოვნადია. პირველი უნივერსიტეტი პირველ პრიორიტეტად 7711 აბიტურიენტმა დაასახელა.

პირველი არჩევანის მიხედვით ყველაზე მაღალი მოთხოვნა დაფიქსირდა შემდეგ მიმართულებებზე – საერთაშორისო ურთიერთობები, არქეოლოგია, მედიცინა, ფილოსოფია, სამართალი, ქართული ფილოლოგია, ისტორია, საერთაშორისო სამართალი, დაწყებითი განათლება, ფსიქოლოგია, ეკონომიკა.

SMART|EDM ლაბორატორია თსუ-ში

გაინტერესებთ კონკრეტულად რა კვლევაზე მუშაობენ იულიხის კვლევითი ცენტრის (გერმანია) ბირთვული კვლევების ინსტიტუტისა და თსუ SMART (Science Medicine Applied Research and Technology) ლაბორატორიებში პარალელურად? გსურთ ამ კვლევებში მონაწილეობის მიღება? ამის საშუალებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული SMART|EDM ლაბორატორია აძლევს მოტივირებულ უფროსკურსელებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. ცნობისათვის, ერთ-ერთი ძირითადი პროექტი, რაზეც მეცნიერები ერთდროულად გერმანიასა და თსუ-ს ლაბორატორიებში მუშაობენ, სამყაროს შექმნის საკითხს უკავშირდება.

გვ. 4

მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვება 2017

გვ. 2

თსუ – ჩემი არჩევანი

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 4000-მდე აბიტურიენტი ჩაირიცხა. ისინი თსუ 67 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადანაწილდნენ. ფაკულტეტების მიხედვით რეიტინგში პირველი სტუდენტები უნივერსიტეტის შესახებ მოლოდინებზე, არჩეულ სპეციალობებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრებიან. მათ მომავალი აბიტურიენტებისთვის საინტერესო რჩევებიც აქვთ.

გაგრძელება მე-3 გვ.

სიახლეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – რექტორის მიმართვა

2017 წლის სასწავლო წელი სტუდენტებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ სპეციალური ვიდეო-მიმართვით მიულოცა და აქცენტები გააკეთა იმ სიახლეებზე, რომელიც თსუ ყველა სტუდენტს უნივერსიტეტში წელს დახვდება. ამ მიმართვიდან დღეს რამდენიმე მონაკვეთს შემოგთავაზებთ:

• *კვლევა* – „ჩვენი მიზანია, რომ ახალგაზრდები დაბრუნდნენ მეცნიერებაში, მიეცეს მეცნიერებას ახალი იმპულსები და ამისთვის ბევრი რამ გაკეთდა. მათ შორის არის ძალიან საინტერესო თანამშრომლობა ე.წ „კოტუტელის“ ფარგლებში, როდესაც ერთობლივი კვალიფიკაციები და ხარისხები ენიჭებათ სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურების სტუდენტებს. ასევე თანამშრომლობა იულიხის ცენტრთან, თანამშრომლობა „ერასმუს+“ პროგრამის ფარგლებში არსებულ არაერთ უნივერსიტეტთან. 64 ასეთი პროექტი ხორციელდება, რაც შანსს აძლევს ჩვენს სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა ევროპულ გაცვლებში, გახდნენ გაცვლითი სტუდენტები და თავისი უნარები და ცოდნა გაიღრმავონ ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობაში. თსუ-ს 200-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი ჰყავს. მათთან ერთად ვახორციელებთ სამეცნიერო-კვლევებს, გაცვლით პროგრამებს. სტუდენტურ გაცვლით პროგრამებთან ერთად გვაქვს პროფესორების გაცვლითი პროგრამებიც. წელს კი ამ ჩამონათვალს ადმინისტრაციის გაცვლითი პროგრამებიც დაემატა.

2017-2019 წლებში 73 სხვადასხვა უნივერსიტეტთან ერთად გაკეთდა დაფინანსებაზე განაცხადი, საბოლოო შედეგები სექტემბრის ბოლოს გახდება ცნობილი.

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ სტუდენტების წარმატება საერთაშორისო სამეცნიერო სარბიელზე

გვ. 4

თსუ მოსამგზადებელი კურსები აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის მსურველთათვის

გვ. 2

„TSU ART“-მა სადებიუტო დისკი გამოუშვა

გვ. 4

თსუ „თაიმსის“ რანჟირებაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 5 პროცენტში მოხვდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „თაიმსის“ (Times Higher Education World University Rankings) მსოფლიოს უნივერსიტეტების 2018 წლის რანჟირებაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 5%-ში მოხვდა. მსოფლიოს საუკეთესო 1500-ზე მეტ გლობალურ-კვლევით უნივერსიტეტს შორის თსუ 1001+ ადგილს იკავებს და რანჟირების ჩამონათვალში კვლავ ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოდან და რეგიონიდან.

Times Higher Education World University Rankings-ის ინფორმაციით, გამოქვეყნებული 1000-ეული მსოფლიოს 20 ათასზე მეტი უნივერსიტეტის 5%-ს შეადგენს. გასული წლის რანჟირებაში გაცილებით ნაკლები, 980 საუკეთესო უნივერსიტეტი გამოვლინდა, სადაც თსუ-ს 801+ ადგილი ეკავა.

თსუ-მ ყველაზე მაღალი შეფასება საერთაშორისო ცნობადობის კომპონენტში მიიღო, რაც საერთაშორისო თანამშრომლობასთან ერთად საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენ-

გაგრძელება მე-4 გვ.

სტუდენტური ბარათი თსუ ყველა სტუდენტისთვის

თსუ-სა და კომპანია „უნიქარდს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ერთობლივი პროდუქტი შეიქმნა, რომელიც სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათის და უნივერსალური დაგრეგირებითი ბარათის – „უნიქარდის“ ყველა ფუნქციას ითავსებს. ბარათის მფლობელ სტუდენტებს შეეძლებათ ისარგებლონ „უნიქარდის“ მიერ შემოთავაზებული ყველა მომსახურებით, სხვადასხვა სახის შეღავათებითა და ფასდაკლებით.

10 000 სტუდენტური ბარათი უკვე დამზადებულია თსუ სტუდენტებისთვის. ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტის მონაცემთა ელექტრონული ბაზის SMS.TSU.GE-ის და LMS.TSU.GE-ის საშუალებით მსურველებს შეეძლებათ ბარათის დამზადების მოთხოვნა.

საბაგირო გზა თსუ მაღლივ კორპუსთან მისვლას გააიოლებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბაგებთან დამაკავშირებელი საბაგირო სექტემბრის ბოლოს ამოქმედდება. სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება.

საბაგიროს ორი ვაგონი ექნება და თითოეული მათგანი დაახლოებით 20 ადამიანზეა გათვლილი. მგზავრობის ღირებულება 50 თეთრი - 1 ლარის ფარგლებში იქნება. მისი მეშვეობით „მაღლივი - ბაგების“ მიმართულებით გადაადგილებას დაახლოებით 3 წუთი დასჭირდება. პროექტს შპს „საქსპეცტრანსი“ ახორციელებს.

შემოდგომის ლეგენდა 2017

18 სექტემბრიდან ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გამოსცადოს თავი, შექმნას ახალი ლიტერატურული ნაშრომი და მოიგოს ფულადი პრიზი. წელს „შემოდგომის ლეგენდა“ ბაკურციხეში მდებარე სარაჯიშვილების ულამაზეს მამულში ჩატარდება. სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. კონკურსში მონაწილეობა ყველა უნივერსიტეტის სტუდენტს შეუძლია.

მედეა მსოფლიო კულტურაში

17 სექტემბერს, თსუ-ში საერთაშორისო კონფერენცია „მედეა მსოფლიო კულტურაში” გაიხსნა. ღონისძიება საქართველოსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს და თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 20 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციის გახსნას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ფოტო და წიგნების გამოფენა (ბერძნულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობები, წიგნები ელინისტიკაში), ფოტოგამოფენა „მედეა ქართულ სცენაზე“, გამოფენა „მედეა ქართულ მხატვრობაში“. საიუბილეო ღონისძიება 19 სექტემბერს დასრულდა.

თსუ მოსამზადებელი კურსები აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის მსურველთათვის

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების მიერ 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებული 42 აბიტურიენტიდან უკლებლივ ყველა სტუდენტი გახდა.

დმანისელი შოთა არჩემაშვილი მეათე კლასში იყო, ფსიქოლოგიითა და ფილოსოფიით რომ დაინტერესდა. სწორედ ამ დროს გადააწყდა ინტერნეტში შემთხვევით ინფორმაციას თსუ საბავშვო უნივერსიტეტის შესახებ, სადაც მისთვის საინტერესო საკითხებზე ლექციების მოსმენა უფასოდ შეეძლო. ამის შემდეგ დმანისიდან კვირაში ერთხელ ლექციებზე დასასწრებად სისტემატურად დადიოდა. საბოლოოდ, გულმაინც გუსტი მეცნიერებებისკენ გაუწია. რადგან ყველაზე სუსტი წერტილი ჩასაბარებელ საგნებს შორის მისთვის ქართული იყო, ამ საგანში მომზადება თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების დახმარებით გადაწყვიტა. აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში ქართულ ენასა და ლიტერატურაში ემზადებოდა, ეროვნულ გამოცდებზე კი 80 ქულიდან 71 ქულა აიღო. დღეს შოთა თსუ გუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია კომპიუტერულ მენეჯერებების მიმართულებით.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსზე რეგისტრაცია თსუ-ში უკვე დაიწყო და 29 სექტემბრის ჩათვლით გრძელდება. აბიტურიენტები სწავლას 2 ოქტომბრიდან დაიწყებენ და ისინი თსუ სტუდენტების მსგავსად ელექტრონული პორტალით ისარგებლებენ, სადაც მშობლებს აბიტურიენტის დასწრების, აკადემიური მოსწრების შედეგების კონტროლი შეეძლებათ.

ბოლო პერიოდში ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე არჩევითი სამოქალაქო განათლების საგანზე ინტერესის ზრდის გამო აბიტურიენტთა მოსამზადებელი სამსახური და საბავშვო უნივერსიტეტი აბიტურიენტებს სთავაზობს უფასო ლექციათა კურსს სამოქალაქო განათლებაში, რომელიც ეროვნული გამოცდების პროგრამის მიხედვით იქნება აგებული. ლექციები ოქტომბრის ბოლოდან დაიწყება.

სიახლეა ასევე გრანტის გაუმჯობესების მსურველი სტუდენტებისთვის, 2018 წლის მარტიდან დაიწყება საგრანტო გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსზე რეგისტრაცია.

აბიტურიენტებისთვის ერთ-ერთი სიახლე გამოცდების კომპიუტერებთან ჩაბარებაა. აბიტურიენტების ეროვნულ, სამაგისტრო თუ საატესტატო გამოცდებისათვის მაქსიმალურად მოსამზადებლად, ცენტრში მოსწავლეები შუალედურ ტესტირებებს ეროვნული გამოცდების მიერ დადგენილი სტანდარტებით აბარებენ.

გარდა ამისა, გრძელდება მე-11 კლასელებისათვის პროფორიენტაციის და საატესტატო გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსი, რომელშიც რეგისტრაცია 2 ოქტომბრიდან დაიწყება და 27 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

სიახლეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – რექტორის მიმართვა

პირველი გვერდიდან

• ***ელექტრონული ბიბლიოთეკა*** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა გახდა უფრო მდიდარი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს ყოველგვარი დანახარჯის გარეშე ჰქონდეთ წვდომა სახელმძღვანელოებთან.

ხორციელდება ასევე საბიბლიოთეკო ფონდის შევსება, უნივერსიტეტმა შეიძინა ბაზები, რათა ჩვენმა სტუდენტებმა და ახალგაზრდა მკვლევარებმა შეძლონ კონკურენტულ გარემოში კვლევა და სწავლა.

წიგნადი ფონდი გაიზარდა 10 ათასი ერთეულით, ციფრულ ბიბლიოთეკას შეემატა 2000-ზე მეტი ელექტრონული საბიბლიოთეკო დოკუმენტი, ბიბლიოთეკას გადმოეცა ცნობილი გერმანელი არქიტექტორის, ხელოვნებათმცოდნის, ტუბინგენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორის კლაუს შვაგერის უმდიდრესი და უნიკალური ბიბლიოთეკა, პირველად გაფორმდა პირდაპირი ხელშეკრულება ერთ-ერთ უდიდეს მონაცემთა ბაზასთან EBSCO-host-თან, თსუ გახდა EconBiz ქსელის პარტნიორი. ამასთან, თსუ სტუდენტები, პროფესორები, მეცნიერები ოქტომბრიდან უკვე ისარგებლებენ ერთ-ერთი უმდიდრესი ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზით „Web of Science“, რომელიც მეცნიერების პროდუქტიულობის შესაფასებელი სისტემაა. საინფორმაციო ბაზა მოიცავს დაახლოებით 8700 ჟურნალს მეცნიერების, ტექნოლოგიის, სოციალური მეცნიერებების, ხელოვნების და ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში.

კიდევ ერთი სიახლე დაკავშირებულია იმასთან, რომ ბოლო პერიოდში ინტენსიურად ხდება ელექტრონული სახელმძღვანელოების გამოშვება, ჩვენი მაგისტრალური განვითარების ხაზი, როგორც გამოვაცხადეთ, იქნება ღია საგანმანათლებლო რესურსები, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელმისაწვდომი და უფასო უნდა იყოს ჩვენი სტუდენტებისთვის ის სახელმძღვანელოები, რომელიც იქნება ჩვენს გამომცემლობაში.

• ***5 კვების ობიექტი*** – იყო დაპირება, რომელიც უკავშირდებოდა სტუდენტური კვების მოწესრიგებას. 5 ობიექტი გაიხსნა და იხსნება ახალი სასწავლო წლისათვის, მათ შორის არის მაღლივში სტუდენტური სასადილო, არის პირველ, მე-7 და ბიოლოგების მე-11 კორპუსში, ასევე ISET-ში. ახლადგახსნილი კვების ობიექტები სტუდენტებს მოემსახურება.

• ***ინფრასტრუქტურული პროექტები*** – „მე-2 კორპუსის სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და სასწავლო და სამეცნერო გარემოს გაუმჯობესება არის ყველაზე მთავარი საკითხი ჩვენი წლევანდელი გეგმისა. თუმცაღა მხოლოდ მე-2 კორპუსზე არ ვჩერდებით, დავიწყეთ მოწესრიგება მაღლივი კორპუსის, სადაც გამოიცვალა ყველა ფანჯარა. დავიწყეთ ბიოლოგების კორპუსის რეაბილიტაცია, იქ ნაწილ- ნაწილ მიმდინარეობს ეს პროცესი. ბევრი აუდიტორია მომზადდა ახალი სასწავლო წლისთვის, ასევე გარემონტდა ლაბორატორიები და სახურავები. დამთავრდება ლიფტების აღდგენის პროცესი. ეს კი შეეხება თსუ კორპუსებში არსებულ ყველა ლიფტს. რემონტდება თსუ კორპუსებში არსებული ყველა სველი წერტილი“.

• ***საერთო საცხოვრებელი*** – „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობას იმისთვის, რომ ახალი საერთო საცხოვრებელი გადმოეცა თსუ-ს. ეს გახლავთ თანამედროვე სტანდარტების, 320 ადგილზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი, სადაც განთავსებულია ადმინისტრაციული და 3 ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, სპორტული ბლოკი ღია მოედნით. ეს ყველაფერი მოგვცემს საშუალებას, რომ სტუდენტური ცხოვრება ამ მიმართულებით გაუმჯობესდეს. გაჩერებას არ ვაპირებთ და უახლოეს მომავალში ვვარაუდობთ, რომ გამოცხადდება ტენდერი, სადაც ჩვენ როგორც უნივერსიტეტი, ასევე საქართველოს მთავრობა, ერთობლივად გამოვაცხადებთ ტენდერს იმ კომპანიების ინტერესის გამოსაჩენად, ვინც თანახმა იქნება, რომ ააშენოს მასშტაბური საერთო საცხოვრებელი. რაც, საბოლოოდ, გადაწყვეტს სტუდენტური ადგილების პრობლემას საერთო საცხოვრებელში თსუ-სთვის და არამხოლოდ, ეს პროექტი შესაძლოა ღია იყოს სხვა უნივერსიტეტებისთვისაც“.

თსუ საერთო საცხოვრებელი

სპორტული მოედანი

კვების ობიექტი

სარეაბილიტაციო სამუშაოები თსუ II კორპუსში

მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვება 2017

თსუ მაგისტრატურა წელს 1000-მდე სტუდენტმა დაამთავრა. უკვე ტრადიციულად, ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ, მათთვის კურსდამთავრებულთა გამოშვების ცერემონია გაიმართა. ცერემონიას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიური საბჭოს წევრები, ფაკულტეტების დეკანები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ რექტორის, გიორგი შარვაშიძის თქმით, კურსდამთავრებულების ცხოვრებაში დიდი ეტაპი დასრულდა, ისინი დღეს მაგისტრები არიან, და დარჩებიან უნივერსიტეტელებად. „ძალიან ლამაზი ზეიმი იყო და ვფიქრობ, რომ ასეთი შემართებით გაგრძელდება ჩვენი კონტაქტები, ყველა გახდება წარმატებული და უნივერსიტეტის დამთავრება იქნება წარმატების ფორმულა“, – აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ მაგისტრებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტელმა და თსუ-ს ორგბის კურსდამთავრებულმა დავით გოგიჩაიშვილმა. „როდესაც ვამბობთ სიტყვა წარმატებას, ყველა ჩვენგანს გვაქვს ამ სიტყვის ინდივიდუალური განმარტება. მინდა გაგიზიაროთ წარმატების სამი გაგება: წარმატებული ხარ მაშინ, როდესაც შენი წარმატება სასარგებლოა სხვებისთვისაც; წარმატებული ხარ მაშინ, როდესაც აკეთებ იმას, რაც გიყვარს გულით და მესამე გაგება ეს არის წარმატებასა და ბედნიერებას შორის ურთიერთდამოკიდებულება. ის, რომ თქვენ თსუ-ში ცხოვრების მეგობრები შეიძინეთ არის წარმატება და ბედნიერება“, – განაცხადა დავით გოგიჩაიშვილმა. მისივე თქმით, დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობა, მისთვის, როგორც უნივერსიტეტელისთვის ამაღლებული გრძნობაა.

2017 წლის მაგისტრატურის წარჩინებული კურსდამთავრებული ომიკო ეჯიბია სწავლის გაგრძელებას კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეგმავს. „დღეს მაგისტრები გაეხდით. კიდევ ერთხელ, ვუსურვებ ყველას წარმატებებს და ბედნიერ და საინტერესო ცხოვრებას. კმაყოფილი ვარ ამ ორი წლის განმავლობაში არაბისტიკის მიმართულებითა და ჩემი კურსით, ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო, ამიტომაც ვაპირებ რომ გავაგრძელო სწავლა დოქტორანტურაში. იმედი მაქვს, რომ ერთხელაც მეც გავხდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,“ – თქვა ომიკო ეჯიბიამ.

საზეიმო ღონისძიებაზე სტუდენტური ჰიმნის „გაუდიამუსის“ ორიგინალური ვერსია „TSU ART“-მა და ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ წარმოადგინეს.

7 ფაკულტეტზე 200-ზე მეტი სასწავლო პროგრამამ მოქმედებს, მათ შორის 95 სამაგისტრო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

თსუ – ჩემი არჩევანი

პირველი გვერდიდან

მარიამ როგავა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

„ფიზიკამ პირველად მერვე კლასში დამაინტერესა. ახლა ვფიქრობ, რომ ეს უფრო ბავშვური გატაცება იყო, სამყაროს კვლევა და ფილოსოფიური საკითხები მიზიდავდა. შემდეგ ამ ყველაფერმა გაიარა და საბოლოოდ, ჩემი გადაწყვეტილება პრაგმატულმა მიდგომამ განაპირობა: ფიზიკა თვალსაწიერს აფართოებს და უამრავ შესაძლებლობას გიხსნის. ფიზიკის კურსდამთავრებულს მრავალი მიმართულებით შეუძლია სწავლის გაგრძელება თუ მუშაობა. და ვინაიდან ჩემს ასაკში რთულია ზუსტად იცოდე, ვინ გინდა იყო, ისეთი მიმართულება ავირჩიე, სადაც ბევრს საინტერესო საგანს ვისწავლი და საკუთარ თავს სხვადასხვა მიმართულებით გამოვცდი.

სასწავლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავირჩიე. აქ, სხვა სასწავლებლებისგან განსხვავებით, სასწავლო პროგრამა არ არის დაგვირთული ზოგადი საგნებით. ეს კი მნიშვნელოვანია, ჩემთვის უინტერესო საგნებზე დროს არ დავკარგავ. ასევე თსუ უამრავი გაცვლითი პროგრამის შანსს აძლევს სტუდენტებს და მეც იმედი მაქვს, რომ ვისარგებლებ ამ შესაძლებლობით.

დავამთავრე კომპარვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა და სწორედ აქ სწავლის დროს დავინტერესდი ტექნიკური საგნებით. ვინ იცის, სხვა სკოლაში რომ მესწავლა, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე შემეჩერებინა არჩევანი. მით უმეტეს, რომ ლიტერატურა ძალიან მიყვარს. წიგნებისთვის დრო ყოველთვის მემეტება.

რამდენიმე დღის წინ გავიგე, რომ ფაკულტეტზე ყველაზე რეიტინგული სტუდენტი ვარ. რეგისტრაციაზე მისულს ძალიან თბილად შემხვდნენ და სტუდენტობის პირველი დღე ჩემთვის დაუვიწყარ მოგონებად იქცა. თუმცა, სიხარულთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც ვიგრძენი.

მომავალ აბიტურიენტებს კი მოვუწოდებდი, თამამად და უშიშრად გადადგან ნაბიჯი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისკენ.

როგორც აღვნიშნე, ჩემს ასაკში რთულია, ზუსტად განსაზღვრო სამომავლო გეგმები. ამ ეტაპზე გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა მსურს, რაც შემდეგ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაში მომეხმარება. იმედი მაქვს, რამდენიმე ათეულ წელიწადში მეცნიერების დონე საქართველოში საგრძნობლად აიწევს. თუ სტუდენტებს მომავალი დასაქმების კარგი პერსპექტივა გვექნება, საზღვარგარეთ მუშაობაზე ნაკლებად ვიფიქრებთ“.

ანა ბაიაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:

„როგორც ნაცნობები იუმორით მეუბნებიან, წელს „მეორეული სტუდენტი“ გავხდი. 2 წლის წინ თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. პროფესიული არჩევანის გაკეთებისას ძალიან მიჭირდა გადაწყვეტილების მიღება: ვყოყმანობდი რომელი ამერჩია, იურიდიული თუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. საბოლოოდ, გადაწყვეტილება იურიდიული ფაკულტეტის სასარგებლოდ მივიღე, თუმცა, ამას არ შეუმცირებია ეკონომიკის მიმართ ჩემი ინტერესი. მეგობრების რჩევით იმ ლიტერატურის კითხვა დავიწყე, რომელსაც სტუდენტები პირველ კურსზე ეცნობიან. იმდენად საინტერესოდ მომეჩვენა უამრავი საკითხი, რომ დავრწმუნდი – აუცილებლად უნდა გამეგო მეტი. საბოლოოდ, ეროვნული გამოცდები წარმატებით შევუთავსე იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის ფინალურ გამოცდებს და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტიც გავხდი.

ჩემს შემთხვევაში თსუ-ზე არჩევანი არა სხვა სტუდენტებისაგან მიღებულმა რჩევებმა, არამედ – საკუთარმა გამოცდილებამ განაპირობა. იურიდიულ ფაკულტეტზე ორწლიანმა სწავლამ დამანახა, რომ თსუ-ში საუკეთესო განათლების მისაღებად შესაფერისი გარემოა შექმნილი. საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები, ობიექტური და მკაცრი გამოცდები, მაღალი კონკურენცია – ეს ის ფაქტორებია, რომელთა გამოც მეორე ჯერზეც არჩევანი კვლავ თსუ-ზე შევაჩერე.

„არ თქვა, რომ დრო არ გყოფნის, დღე-ღამეში ზუსტად იმდენი საათი გაქვს, რამდენიც ჰქონდათ ჰელენ კელერს, მიქელანჯელოს, დედა ტერეზას, ლეონარდო და ვინჩის, თომას ჯეფერსონს და აინშტაინს“. ჯექსონ ბრაუნის ეს ფრაზა ჩემთვის დიდი მოტივატორია. აბიტურიენტებს ვურჩევდი, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ ძვირფასი დრო. ჩემი აზრით, დასახული მიზნისათვის დათმობილი ყოველი საათი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯია საბოლოო შედეგისაკენ მიმავალ გზაზე.

ლიკა ხუციბერიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

„ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად ვარ ჩართული სამოქალაქო ცხოვრებაში, ვესწრებოდი საერთაშორისო ორგანიზაციების სამიტების მოდელირებებს, მონაწილეობას ვიღებდი არასამთავრობო ორგანიზაციების ბანაკებსა და აქტივობებში, ურთიერთობა მქონდა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებთან. თავიდან ყველაფერი ინტერესის დონეზე დავიწყე, თუმცა, როცა გადაწყვეტილება უნდა მიმეღო, ანუ ამერჩია სპეციალობა, მივხვდი, რომ საერთაშორისო ურთიერთობები იყო ის, რაც თავის თავში აერთიანებდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილს და მაძლევდა შესაძლებლობას, პროფესიულად გამომეყენებინა ჩემი გამოცდილება.

როგორც კი გადავწყვიტე, რომ საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩამებარებინა, არჩევანი მაშინვე თსუ-ზე შევაჩერე. მქონდა ინფორმაცია სწავლების სტრუქტურის, ლექტორების, წარმატებული სტუდენტების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო ურთიერთობის შესახებ. შესაბამისად, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე და მოლოდინი ეფექტიანი და საინტერესო სწავლის შესახებ გამიმართლდება.

დავამთავრე ქალაქ ტყიბულის №6 საჯარო სკოლა. მოსწავლეობის პერიოდს პირობითად რამდენიმე ნაწილად ვყოფ: პირველი, როცა სიგიჟემდე გიხარია სკოლაში წასვლა, ამასთან ერთად დადიხარ ცეკვაზე, მუსიკაზე, ჭადრაკზე და ყველაფერზე, რაც შეიძლება პატარა ბავშვმა მოასწროს, მაგრამ მაინც ბედნიერი ხარ; მეორე, როცა საოცრად გეზარება ცეკვაც, მუსიკაც, ჭადრაკიც და განსაკუთრებით, სკოლა, მაგრამ ხვდები, რომ ახლა თუ არ ისწავლე, შემდეგ წლებში უკვე ძალიან დაგვიანდება და მესამე, როცა სკოლის პირველი და მეორე ეტაპი წარმატებით გადალახული გაქვს და უბრალოდ, თამამად ელოდები „დაგვირგვინებას“ – ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

რაც შეეხება ინტერესთა სფეროს, ძალიან მრავალფეროვანია, უმცირესი ნაწილაკებიდან დაწყებული – გალაქტიკებით დამთავრებული, თითქმის ყველაფერი მაინტერესებს, თუმცა უფრო სამყაროულო დონეზე. პროფესიული კუთხით კი გამოვარჩევდი სამოქალაქო აქტივიზმს, მოხალისეობასა და დიპლომატიის ხელოვნებას.

ჩემი მოკლევადიანი მიზნები საუნივერსიტეტო ცხოვრების წარმატებით დაძლევას უკავშირდება. მაქსიმალურად ვეცდები, გავხდე გაცვლითი სტუდენტი რომელიმე დასავლურ უნივერსიტეტში. აუცილებლად გავაგრძელებ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას და ჩემი ქალაქის აქტიურ ახალგაზრდებთან საქმიან კომუნიკაციას. გრძელვადიანი მიზნები კი პროფესიული კუთხით დასაქმებას უკავშირდება“.

თამარ ტაბატაძე, მედიცინის ფაკულტეტი:

„ჩემი მომავალი პროფესიის შერჩევაში ჩემმა ოჯახმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. მამა და მამიდა ექიმები არიან. მიმაჩნია, რომ მედიცინის დარგში დაუღალავი შრომით მივაღწევ წარმატებას და გამოვადგები ჩემს ერს. ქალაქ რუსთავის მე-20 საჯარო სკოლა დავამთავრე. სწავლის პარალელურად დაკავებული ვარ სპორტით, კითხვით და მუსიკით.

თსუ ამერიკავკასიაში საუკეთესო უნივერსიტეტია, 100 წელი უსრულდება დაარსებიდან, რაც უთუოდ მის უნიკალურობაზე მეტყველებს. მიმაჩნია, რომ თსუ მომცემს იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც დამეხმარება ჩემი მიზნების მიღწევაში. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როდესაც ფაკულტეტზე ყველაზე რეიტინგული სტუდენტი ხარ. ეს მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს და მოტივაციას მიმაღლებს.

მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევ გამოიჩინონ ნებისყოფა, შეინარჩუნონ სულიერი სიმტკიცე და იშრომონ დაუღალავად. მხოლოდ ასე შეძლებენ ისინი მაქსიმალური შედეგის მიღებას. სამომავლოდ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩამოვყალიბდე პროფესიონალ ექიმად. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, რთული და საინტერესო გამოწვევაა ჩემს ცხოვრებაში“.

ქეთევან არჩვაძე, იურიდიული ფაკულტეტი:

უნივერსიტეტის არჩევაზე არც მიფიქრია, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცოდი, თუ სამართალს ავირჩევდი, აუცილებლად აქ უნდა მესწავლა. საინტერესო სტუდენტური ცხოვრების მოლოდინი მაქვს და მჯერა, რომ უნივერსიტეტი ამას უზრუნველყოფს. იმედი მაქვს, ბევრ მნიშვნელოვან პროექტში მივიღებ მონაწილეობას და მოვახერხებ ჩემი უნარების რეალიზებას. იყო თსუ-ს სტუდენტი – დიდი პასუხისმგებლობაა, თუმცა, პასუხისმგებლობა ორმაგდება, როცა ყველაზე მაგარი ფაკულტეტის ყველაზე რეიტინგული სტუდენტი გქვია. ეს ჩემთვის დიდი მოტივაციაა და ამავდროულად სტიმული იმისა, რომ მეტი მოვითხოვო საკუთარი თავისგან.

დავამთავრე ზესტაფონის მე-2 სკოლა. სკოლასთან დაკავშირებული პერიოდი ჩემთვის ერთ-ერთი ძალიან ძვირფასი მოგონებაა. დაინტერესებული ვიყავი მათემატიკით და ჩემი საყვარელი საგანი იყო სკოლაში. მოგვიანებით გადავწყვიტე იურიდიულზე ჩაბარება და მიხარია, რომ მიზანს მივაღწიე. ვფიქრობ, რომ ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იურისტის პროფესია საკმაოდ მოთხოვნადია საქართველოში, ჩემი აზრით, პროფესიონალების ნაკლებობას განვიცდით. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული სპეციალობა ავირჩიე. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო პროფესიაა და ამაყი ვარ იმით, რომ იურისტების დიდი ოჯახის წევრი გავხდი.

მომავალ აბიტურიენტებს ვეტყოდი, რომ მიზნების მისაღწევად დიდი შრომა მოუწევთ. მაგრამ სასურველი შედეგის ნახვა ამად ნამდვილად ღირს.



სოფიო ჯოჯუა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:

„ბავშვობიდან მომწონდა უცხო ენებისა და საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა, მუსიკა, დაკვრა პიანინოსა და გიტარაზე. ფსიქოლოგიამ განსაკუთრებით სკოლის ბოლო წლებში გამიტაცა, მას შემდეგ, რაც რამდენიმე საჯარო ლექციას დავესწარი და ზიგმუნდ ფროიდის ნაშრომებს გავეცანი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი, ალტრუისტული და საპასუხისმგებლო პროფესიაა. ჩემი აზრით, ფსიქოლოგიის ყველაზე დახვეწილი ინსტიტუტი, დღესდღეობით, საქართველოში თსუ-ს აქვს და, ვფიქრობ, სახელმწიფო უნივერსიტეტი მომცემს საშუალებას, საფუძვლიანად შევისწავლო ჩემთვის ყველაზე საინტერესო სფერო. გარდა ამისა, თსუ-ს მრავალი გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის სახელი უკავშირდება და ამიტომ ჩემთვის აქ ჩაბარება განსაკუთრებით სასურველი იყო.

მომავალ აბიტურიენტებს ვეტყოდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დროის სწორად განაწილებაა. აუცილებელია, ყოველთვის გამოყონ დრო დასვენებისთვის, განტვირთვისა და გართობისთვის და, რაც მთავარია, ყოველთვის გამოძინებულები იყვნენ.

დავამთავრე 147-ე საჯარო სკოლა. სკოლის პერიოდს ჩემთვის ბევრი საინტერესო მოგონება უკავშირდება, სკოლის გარემომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მაქსიმალურად უნდა შევეცადო, კარგად ვისწავლო, რათა გავხდე მაღალი დონის სპეციალისტი პრესტიჟულ, მოთხოვნად და აქტუალურ სფეროში.

ნინო გეგენავა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

თბილისის 61-ე საჯარო სკოლა დავამთავრე და ჩემი კარგი მოგონებების უმეტესობა სწორედ ამ ადგილს უკავშირდება. მყავდა გულისხმიერი და მცოდნე მასწავლებლები, უსაყვარლესი და მრავალმხრივი კლასელები და მათი დამსახურებაცაა, რომ ჩემი ინტერესთა სფერო მუდმივად ცვალებადია და მზარდი.

ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, ყოველთვის მხიბლავდა, ვინაიდან ერთადერთ სფეროდ ვთვლი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა. რაღაც განსაკუთრებულია და ახალი შეგრძნებებით სავსე, ამიტომაც გადავწყვიტე, ამერჩია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დღევანდელ დღეს, ჩემი აზრით, ერთადერთია, რომელსაც შეუძლია მოგცეს ღირებული განთლება ქართულ უნივერსიტეტებს შორის. გარდა ამისა, თსუ თავისი ისწლიანი ისტორიით, ფაქტობრივად, კულტურული ძეგლია და მინდა, თავს მის ნაწილად ვთვლიდე. ვიცი, რომ ყველაფერი იდეალურად არაა, თუმცა გამოსწორება არასდროსაა შეუძლებელი ან გვიანი.

სამომავლო გეგმები არ მაქვს. ამ წუთას მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რისი მოცემა შეუძლია ჩემთვის ფილოსოფიას. მინდა, მაქსიმალურად ბევრი რამ გამოვცადო ამ 4 წელიწადში და ვნახო, რა შემიძლია, რა გამომდის და რა მიყვარს. ამის მიხედვით გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე შემდეგ.

SMART|EDM ლაბორატორია თსუ-ში

პირველი გვერდიდან

სმარტლაბი იულიხის ცენტრში

SMART|EDM ლაბორატორიის შექმნის იდეა იულიხის ბირთვული კვლევების ინსტიტუტში გაჩნდა. JEDI (Jülich Electric Dipol Moment Investigations) საერთაშორისო კოლაბორაცია, რომლის ბირთვსაც აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს, აწარმოებს მნიშვნელოვან კვლევებს ისეთი ფუნდამენტური მიმართულებით, როგორიცაა ჩვენი სამყაროს არსებობა და მისი ჯერჯერობით უცნობი კანონზომიერებები. ექსპერიმენტში ასევე ჩართულია მკვლევართა ქართული ჯგუფი, რომელშიც იულიხის ცენტრის თანამშრომლები, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები და ქართველი სტუდენტები შედიან. იულიხში ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს თსუ კურსდამთავრებული და ამჟამად იულიხის ცენტრის თანამშრომელი დოქტორი ირაკლი ქეშელაშვილი.

ექსპერიმენტი დაგეგმარებისა და შექმნის პროცესშია, რომლის ძირითად მიზანს უპრეცედენტოდ მაღალი სიზუსტეების მიღწევა წარმოადგს. ამიტომ, ექსპერმენტის თითოეული კვანძი, დეტექტორი თუ ამაჩქარებლის უბრუნველყოფის სისტემა, დეტალურ შემოწმებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, გაჩნდა საქართველოში ლაბორატორიის დაარსების იდეა, რომელიც პარალელურ რეჟიმში იმუშავებდა იულიხის ამავე ტიპის ლაბორატორიასთან.

თსუ-ში არსებული SMART|EDM ლაბორატორიის პრეზენტაცია გასული წლის შემოდგომაზე მოხდა. მისი ხელმძღვანელი ასევე თსუ კურსდამთავრებული, დოქტორი დავით მჭედლიშვილი გახლავთ. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად პროექტს იულიხის ცენტრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც აფინანსებს. პროექტი ხუთწლიანია, რომლის ფარგლებში დოქტურანტურის და მაგისტრატურის რამოდენიმე სტუდენტის დასაქმებაა შესაძლებელი. ქართველ სტუდენტებს ექსპერიმენტებში მონაწილეობის მისაღებად და უცხოელი კოლეგებისთვის სამუშაოს შედეგების გასაზიარებლად პერიოდულად იულიხის ცენტრში უწევთ გამგზავრება.

დავით მჭედლიშვილის თქმით, „აღნიშნული კვლევები, რომლებიც უკვე დაწყებულია იულიხის კვლევითი ცენტრის COSY ამაჩქარებელზე ქართული ჯგუფის აქტიური მონაწილეობით, მიზნად ისახავს დეიტრონის (წყალბადის ერთ-ერთი იზოტოპი) ედმ-ის (ელექტრული დიპოლური მომენტი) ძალიან დიდი სიზუსტით გაზომვას. ედმ-ის არსებობის შემთხვევაში, მისი გარეშე ელექტრულ ველთან ურთიერთქმედების შედეგად მოსალოდნელია პოლარიზებული ნაკადის პოლარიზაციის ვექტორის ორიენტაციის მცირედი ცვლილება დროში, რომლის დამზერაც აღნიშნული ექსპერიმენტის ძირითად იდეას წარმოადგენს. ამ ცვლილების დასაფიქსირებლად კი საჭიროა მაღალი მგრძნობიარობის პოლარიმეტრის შექმნა (პოლარიმეტრი – ნაწილაკთა სპინების ორიენტაციისა და პოლარიზაციის ხარისხის გამზომი დეტექტორი), რაც წარმოადგენს ქართული ჯგუფის ძირითად ამოცანას. მისი ზოგიერთი კვანძის შექმნა და გამოცდა SMART|EDM ლაბორატორიის ძირითადი ამოცანაა.“

აღნიშნულ კვლევებს შესაძლოა პირდაპირი გავლენა არ ჰქონდეს საზოგადოების კეთილდღეობაზე დღეს. თუმცა, უაღრესად დიდ მნიშვნელობას იქონიებს სამომავლოდ. ამ ექსპერიმენტის შედეგად აუცილებლად შევიტყობთ რაღაც ახალს ჩვენს სამყაროზე, რამაც შესაძლოა გვიბიძგოს დღეისათვის ფიზიკისთვის უცნობი კანონზომიერების აღმოჩენამდე, – განმარტავს დავით მჭედლიშვილი.

ლაბორატორიის წარმომადგენელთა შეფასებით, SMART|EDM ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაოები ქართველ სტუდენტებს თანამედროვე ექსპერიმენტული ფიზიკის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში დაეხმარება. ელექტრონიკის, პროგრამირების, კომპიუტერულიტექნიკის, მექანიკური და პროგრამული ინჟინერიის, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის, ფიზიკური პროცესების მოდელირების საკითხების შესწავლა-გამოყენება მოხდება კონკრეტულ აქტუალურ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობით. SMART|EDM ლაბორატორიაში მიმდინარე აქტივობები ქართველ სტუდენტებს დაეხმარება მომავალი კარიერის შექმნაში არამარტო როგორც მკვლევარის, არამედ სხვადასხვა კომერციულ და ბიზნეს საქმიანობაშიც, ელექტრონიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, სამედიცინო დიაგნოსტიკის და მონაცემთა ანალიზის მიმართულებებში.

SMART|EDM ლაბორატორია უახლოეს პერიოდში მუშაობას სხვა ისეთი მიმართულებითაც გეგმავს, რამაც შესაძლოა დიდი გამოყენება ჰპოვოს სამედიცინო დიაგნოსტიკაში. დავით მჭედლიშვილის განცხადებით, პოლარიმეტრის დეტექტორი, რომელზეც მოცემულ მომენტში მუშაობს ქართული ჯგუფი, ძალიან ჰგავს პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფს (პეტ), რომელსაც ორგანიზმში მეტაბოლური პროცესების დასამზერად და ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისთვის იყენებენ. როგორც წესი, კომერციული დანადგარები ძალიან ძვირია. გარდა ამისა, თანამედროვე გადაწყვეტებში მას ხშირად აერთიანებენ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფთანაც, რასაც სამედიცინო თვალსაზრისით ბევრი უპირატესობა გააჩნია. ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს პეტ-ის კომპაქტურობასა და ძლიერი მაგნიტური ველისადმი მდგრადობას. SMART|EDM ლაბორატორიის წარმომადგენლებს, ნაწილაკთა დეტექტორებზე მიღებული ცოდნასა და დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აქვთ პეტ-ის არქიტექტურის გაუმჯობესების იდეა, რაც წარმატების შემთხვევაში იძლევა ფასისა და ზომის ეკონომიას. შესაბამისად, ამ პროექტს კომერციული მოგების მოტანის პოტენციალიც გააჩნია.

თსუ „თაიმსის“ რანჟირებაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 5 პროცენტში მოხვდა

პირველი გვერდიდან

ტებისა და საერთაშორისო და აღგილობრივი პერსონალის რაოდენობის შეფარდებას გულისხმობს.

სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა Times Higher Education-ის ევროპული უნივერსიტეტების რანჟირება, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ევროპის 400 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალში 301+პოზიცია დაიკავა.

ევროპის 2018 წლის რანჟირებაში სულ 35 ევროპული ქვეყანა მოხვდა. რანჟირებისას გამოყენებული იყო 2016-17 წლის მონაცემები.

Times Higher Education World University Rankings-ის შეფასების კრიტერიუმი 5 ძირითად სფეროს მოიცავს:

• სწავლება (სასწავლო გარემო): 30%

• კვლევა (რაოდენობა, შემოსავალი და რეპუტაცია): 30%

• ციტირება (კვლევის გავლენა): 30%

• საერთაშორისო ცნობადობა (პერსონალი, სტუდენტები და კვლევა): 7,5%

• ინდუსტრიული შემოსავალი (გამოგონებებისა და ინოვაციების წარმოებაში დანერგვა) 2,5%

„თაიმსის“ რანჟირება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რანჟირებაა, საქმიანობის 14 წლიანი გამოცდილებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია რეგიონიდან, რომელიც თაიმსის მსოფლიოს უნივერსიტეტების რანჟირების ჩამონათვალში. (Times Higher Education World University Rankings) უკვე მეორედ მოხვდა.

თსუ სტუდენტების წარმატება საერთაშორისო სამეცნიერო სარბიელზე

ივლისში იტალიის ქალაქ კალიარიაში ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია, "მე-8 ახალგაზრდა მკვლევართა შეხვედრა 8th YRM (young researchers meeting)", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტებმა და-ძმამ, ცოტნე და ეკატერინე დადიანებმა.

ეკატერინე დადიანის მოხსენების თემა იყო: „მომღერალი ფურცელი“, ხოლო ცოტნე დადიანმა წარადგინა პოსტერი თემაზე: „სინათლის ბეჭდები სითხის ვარდნილ სვეტში“, რომელიც საუკეთესო პოსტერად დასახელდა. სტუდენტების კონფერენციაში მონაწილეობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააფინანსა. ცოტნე და ეკატერინე გვიყვებიან საკუთარი გამოცდილების, პროექტებისა და მიზნების შესახებ.

ეკატერინე დადიანი: „მე და ჩემი ძმა ადრეული ასაკიდან ვიყავით დაინტერესებული მათემატიკა-ფიზიკით და საერთოდ მეცნიერებით. ჩვენი სკოლა კი გასაძლიანს გვაძლევდა ყველა მიმართულებით. კომაროვის სკოლას დღევანდელი გადმოსახედიდან კიდევ უფრო მეტად ვაფასებ, ვიდრე იქ სწავლის დროს. ამ სკოლაში მთელი ქვეყნის მასშტაბით გონიერი ბავშვების უმრავლესობა სწავლობს და მაღალი ცოდნის მიღების საშუალების გარდა, არსებობს ზომიერად მხიარული და წყნარი სასწავლო გარემო.

მე-12 კლასში სწავლის პარალელურად ჩართულები ვიყავით სხვადასხვა პროექტში, რომელთაგან ერთ-ერთი იყო „საქართველოს ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტურნირი“ (GYPT). სადაც პირველად დავიწყეთ ჩვენს ამოცანებზე მუშაობა. ტურნირი საკმაოდ სპეციფიურია, რადგან ლაბორატორიული მუშაობის გარდა, მოითხოვს პრეზენტაციის გაკეთების უნარ-ჩვევებს, აქ ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ გიწევს ჟიურის წევრებს წარუდგინო ნაშრომი და თან თავი დაიცვა ოპონენტისგან და შეფასდე რეცედენტის მიერ. ამ სირთულეების დაძლევაში სკოლის მენტორები ძალიან გვეხმარებოდნენ. ტურნირი 2-3 დღე გრძელდება ხოლმე და ვლინდება გამარჯვებული გუნდი. რის შემდეგ ირჩევიან საუკეთესო „მებრძოლები“ და კომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც უკვე საერთაშორისო ტურნირზე 40 სხვა ქვეყანასთან ერთად განაგრძობს ასპარეზს. ჩვენ დაგვემთხვა რუსეთი, ეკატერინბურგი, სადაც წარმატებული გამოსვლები გვქონდა“.

ცოტნე დადიანი: ამის შემდეგ უკვე ჩავაბარეთ სახელმწიფო უნივერსიტეტში და დავიწყეთ პროექტებზე სერიოზულად მუშაობა და ჩვენს ამოცანებს უფრო სერიოზული სახე მივეცით. გავაგზავნეთ საერთაშორისო კონფერენციაზე, (მე-8 ახალგაზრდა მკვლევართა შეხვედრა, 8th Young Researchers meeting), საიდანაც მივიღეთ შესაბამისი მოწვევები: ეკა მომხსენებლად, ხოლო მე – პოსტერის წარმდგენად. ეს მოწვევები წარვადგინეთ და უნივერსიტეტმა მთლიანად დაგვიფინანსა იტალიის კუნძულზე, სარდინიაზე წასვლა.

ჩვენი პროექტები იყო შემდეგ თემებზე: „მომღერალი ფურცელი“ – როდესაც თხელი პირის მქონე ფურცელს, ბალახს ან სხვა ელასტიურ, თხელ ფირფიტას შევუბერავთ ჰაერის ნაკადს წარმოიქმნება ხმა, რომლის სიხშირე და ამპლიტუდა დამოკიდებულია ფირფიტის და ჰაერის ნაკადის პარამეტრებზე. კვლევა ეხება მათ გამოკვლევას სხვადასხვა პირობებში ექსპერიმენტულად, მის შედარებას თეორიასთან.

„სინათლის ბეჭდები სითხის ვარდნილ სვეტში“ – სითხის ვარდნილ სვეტში წარმოქმნილი ტალღოვანი ბორცვების დაცემის მყარი ზედაპირით დასტაბილურების შემდეგ მიღებული სითხის ფორმები შეძლება გამოვიყენოთ, როგორც ოპტიკური სისტემა და განვიხილოთ მასში ლაზერის სხივის სვლა და დავიჭიროთ საინტერესო მომენტი, როდესაც სინათლის სვეტის გაყოლებაზე მასში მიიღება სინათლის რგოლები. კვლევაც სწორედ ამ ბეჭდებს შეეხება.

გამგზავრების წინ ლექტორების მიერ მივიღეთ შესაბამისი რჩევები და დარიგებები, რაც დაგვეხმარა ჩვენი თავის უკეთესად წარმოსაჩენად უკვე კალიარიში. ეკას პროექტმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა და ძალიან გაკვირვებულები იყვნენ მისი ასაკით, რომელიც გაცილებით ნაკლები იყო ყველა სხვა გამომსვლელთან შედარებით. კონფერენციის მეორე ნაწილი იყო პოსტერების წარდგენა, სადაც ჟიურიმ შეაფასა დაახლოებით 30 პოსტერი და ჩემდა გასაკვირად საუკეთესო პოსტერად სწორედ ჩემი ნამუშევარი დასახელდა. რაც ჩემი აზრით, დიდი წარმატება იყო.

სამომავლოდ, რა თქმა უნდა არ ვაპირებთ გაჩერებას და აქტიურად ვგეგმავთ სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში ჩართვას, რომლის საშუალებასაც უნივერსიტეტი ნამდვილად იძლევა“, – ამბობს ცოტნე.

თსუ ფუტსალის გუნდმა ქვიშის ფეხბურთის ტურნირზე გაიმარჯვა

15 სექტემბერს, თსუ ფუტსალის გუნდმა საზაფხულო უნივერსიადის ფარგლებში გამართულ ქვიშის ფეხბურთის ტურნირზე გაიმარჯვა. საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტურნირი ქალაქ ურეკში გაიმართა.

„ქვიშის ფეხბურთის ტურნირში ფუტსალის უნივერსიადის 8 საუკეთესო გუნდი ვიღებდით მონაწილეობას. ფინალში გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტს შევხვდით, თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა, მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ორგანიზაგორებმა თასი, მედლები და სიგელები გადმოგვცეს. მიუხედავად გუნდში არსებული დიდი დანაკლისისა, ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს და მათ ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი,“ - აღნიშნა თსუ ფუტსალის გუნდის მეკარემ, გიორგი ჯოხაძემ.

ფინალურ მაგჩში თსუ-ს სტუდენტურმა გუნდმა თავართქილაძის უნივერსიტეტის ფუნდი ანგარიშით 3:2 დაამარცხა. გოლები მეტოქის კარში შაკო კაპანაძემ, თორნიკე ქართველიშვილმა და დათო ჯავახიშვილმა გაიტანეს.

„TSU ART“-მა სადებიუტო დისკი გამოუშვა

ჯერ კომპოზიცია იქმნება, შემდეგ უკვე სახელს უსადგებენ. ასე გაჩნდა საბოლოოდ „თსუ არტ“-ის ძალიან ბევრი საინტერესო და ზოგჯერ უცნაური სახელის მქონე მუსიკალური კომპოზიცია. მათ შორის: „იერუსალემი“, „ზაფხული“, „სუნთქვა“, „აგმოსფერო“, „ხის მაიმუნი“, „ტედექსი“, „თაფლი“, „დანებება“, „დამიმახსოვრე“, „333“ და „გაუდეამუს იგიგურ“. სწორედ ეს კომპოზიციები შეირჩა ბენდის სადებიუტო დისკისთვის. დისკის მოსმენა, რომელიც „ბრავო რეკორდსში“ ჩაიწერა, მსურველს უახლოეს პერიოდში შეეძლება. დაწყებულია ასევე მუშაობა ნაკრებში შესული ერთ-ერთი კომპოზიციის მიხედვით „კლიპის“ შექმნაზეც. ბენდის წევრები ექსპერიმენტალურ-ელექტრონული მუსიკის შემსრულებლები არიან. ელექტრნული მუსიკალური ინსტრუმენტების პარალელურად ისინი თავის კომპოზიციებს საკუთარი ძალებით შექმნილი ინსტრუმენტებით ქმნიან და ასრულებენ. მათ შორისაა ბამბუკისაგან დამზადებული ინსტრუმენტებიც, რომელთა გაახლებასაც ახლა გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად, გურიაში მყოფი ნაცნობების დახმარებით აპირებენ.

„ეს ჩვენი პირველი ნაშრომია, რომელზეც დაახლოებით ერთი წელი ვმუშაობდით. დისკი სერგი გვარჯალაძემ ჩაწერა. საკმაოდ ოპერატიულად ჩავწერეთ, უფრო მეტი დრო კომპოზიციების „მიქსინგმა“ და დამუშავებამ წაიღო. ყოველ ჯერზე, როდესაც გვეგონა დისკზე მუშაობას მალე მოვრჩებოდით ხელახალი მოსმენისას თავს იჩენდა საკითხები, დეტალები, რომელსაც სხვანაირად დამუშავება და გადასხვაფერება სჭირდებოდა. კომპოზიციები ბენდის წევრების მიერ კონსესუსის შედეგად შეირჩა. აქ შესულია ბოლო ორი წლის განმავლობაში შერჩეული და გადამუშავებული „ტრეკები“, რომელსაც ახალი ხმები და ჟღერადობა დაემატა. მათ შორის ისინიც, რომელიც პროექტ „ნიჭიერში“ გვქონდა წარდგენილი“, – განმარტავს ბენდის წევრი პერკუსიონისტი ლაშა ლორთქიფანიძე, რომელიც არაოფიციალურად ბენდის მენეჯერობასაც ითავსებს. „თსუ არტის“ შემადგენლობაში არიან ასევე: დიჯეი-პროდიუსერი ათუკა ედიშერაშვილი, გიტარისტი დათუნა დგებუაძე და კიდევ ორი: ილია ჭუმბურიძე, ირაკლი გოდერძიშვილი.

11 კომპოზიციიდან 8 საავტორო, „გაუდეამუს იგიგურ“ ბენდმა ასევე უნივერსიტეტის ვოკალურ ანსამბლ „უნივერსიტეტთან“ ერთად ჩაწერა. დისკი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით ჩაიწერა. ლაშა ლორთქიფანიძე უნივერსიტეტის ძველ და ახალ რექტორებს და ხელმძღვანელობას, თსუ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის. ეს მხარდაჭერა უნივერსიტეტის მერვე კორპუსში სარეპეტიცოდ ოთახის გამოყოფაშიც გამოიხატება.

„ჩვენს კორპუსში ჰუმანიტარები და ფიზიკოსები არიან. მეზობლად, ზემოთა სართულზე ფიზიკოსის ოთახია, რომელსაც რაღაც სამუშაოების შესრულებისას ჩვენი რეპეტიციის დროს ვიბრაციამ შეიძლება ხელი შეუშალოს. შესაბამისად, ჩვენს სამუშაო გრაფიკებს ერთმანეთთან ვათანხმებთ. ისე, ცნობისათვის, ძალიან ხშირად რეპეტიციების დროს სტუდენტების გარდა ჩვენი მოსმენის სურვილი იმავე კორპუსის თანამშრომლებსაც უჩნდებათ. როდესაც მუსიკის ხმას გაიგონებენ ხოლმე, ჩვენთან შემოდიან. თუ რაიმე ახალ კომპოზიციაზე არ ვმუშაობთ, ან არ ვწერთ, მათ ხელს ამაში არ ვუშლით,“ – ამბობს ლაშა. არც თუ დიდი ხნის წინ ბენდმა რამდენიმე საინტერესო კონცერტი გამართა, მათ შორის თბილისის კონსერვატორიის სტუდენტურ ორკესტრსა და ერევნის კონსვერვატორიის ორკესტრთან ერთად. აქ წარმოდგენილი ნამუშევრები სიმფონიური და ელექტრონული მუსიკის სინთეზს წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც პირველი დისკი ჩაწერეს, ბენდის წევრებმა ახალ კომპოზიციებზე გააგრძელეს მუშაობა. მათი ძველი თუ ახალი კომპოზიციების მოსმენა „თსუ არტის“ მსმენელებს ონლაინ აუდიო პლატფორმის „საუნდქლაუდის“ მეშვეობითაც შეუძლიათ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge